# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

**„დროების“ ფასი:**

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთი თვისა . . . 1 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი; ჩვეულებრივი ასოებით ასოზე ნახევარი კაპეიკი; პირველ გვერდზე სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ დირხ ერთი შაური.



**არწრუნის თეატრი.**

**კვირას, 23 იანვარს**

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

**მზის დაბნელება**

**საქართველოში**

კომედია 3 მოქმედ. ზ. ანტონოვისა.

დასაწყისი 7½ საათზედ.


## ტელეგრამა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

### სამზღვარ გარეთიდამ

20 იანვარს

პარიჟი. ახლად ამორჩეულს მინისტრთა რჩევის პრეზიდენტს ფალიერს გული შეუწუხდა გუშინდელს სხდომაზედ; მაზეზად სისუსტეს ხადიან, მაგრამ ცუდი შედეგი არ იქნება რაო.

პრინც ნაპოლეონის ქაღალდებში იპოვეს ამის მიწერ-მოწერა თავის მეუღლესთან და იტალიის კაროლთან, ამას გარდა რამოდენიმე წერილი განვლენიან რესპუბლიკელებისა პრინცისადმი, რომელთ სახელი გარდმოიწერა გამომძიებელმა.

ვენა. მალე მოელიან აქ გადაწყვეტილებას, რომლის მალითაც ავსტრიის რკინის გზის ერთი შტო შეუერთდება ოსმალეთისას. ამაში ხედვენ სარგებლობას ავსტრიისათვის.

### რუსეთიდამ

20 იანვარს.

პეტერბურღი. ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრი—გირსი.

ებოძათ: კოდიფიკაციონურ განყოფილების მთავარ-მმართველის ამხანაგს მარკუსს ალმასის ნიშნები ალექსანდრე ნევსკის ორდენისა; სახელმწიფო ქონებათ მინისტრის ამხანაგს—ვიშნიაკოვს და სენატორ პახმანს ორდენი თეთრი არწივისა.

„გოლოსი“ იწერება: 17 იანვარს დაასრულა შრომა კამისიამ, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით, რომელიც სჯიდა, თუ რა გადასახდევინოს ვინც სასმელების წესებს დაარღვევს. კამისიამ შეამუშავა შემდეგი პროექტი მაინდოს სამაზრო გლეხების საქმეთა „პრისუტსტვიას“ და საქალაქო გამგეობათ მოწმობების მიცემა ღვინის-მოვაჭრეთათვის; გადიდდეს ჯარიმა, და უზრუნველ იყოს იგი გირაოებითა; გადიდდეს გადასახადი დუქნის დაკეტამდის; ვაჭრობის უფლების დაკარგვის შემდეგ, სასმელების ნისიად გაყიდვისათვის დაიკეტოს დუქანი თუ დამნაშავედ ცნობილ იქმნა მედუქნე (არა პატრონი დუქნისა) 5 წლით აღეკრძალოს ვაჭრობა; დატუსაღებულ იქმნეს და დაენიშნოს აპეკა იმ პირს, რომელიც ოჯახს დუპავს ლოთობითა; მაღებულ იქმნეს ზომები სოფლის და სამაზრო კრებათა მოპატიჟების წინააღმდეგ საქმის გარჩევის დროს; კრების მოწვევისათვის, სანამ ვაჭრობის უფლება არ აუღიათ, დაიკეტოს დუქანი და დამნაშავე დატუსაღებულ იქმნეს; აკციზისა და პოლიციის მოხელეობის გარდა ზედამხედველობა სასმელების ვაჭრობაზე მიენდოს ამორჩეულ პირთ კერძოდ ამ საგნისათვის.

## საფრანგეთში.

ტფილისი, 21 იანვარს.

ერთი თვეც არ გასულა გამბეტას სიკვდილის შემდეგ და საფრანგეთის საქმეები სულ აირ-დაირია.

ერთი თვე!... ჯერ წალებიც არ გაუცვეთიათ, რომლებშიაც გამბეტა გააცილეს საფლავზე.

ჯერ ნაპოლეონის პარტიამ გამოჰყო თავი. მიიხედ-მოიხედა პარიჟი ბულვარებზე ამ პარტიამ, დარწმუნდა რომ გამბეტას თვალი იმას არ უყურებს, და, ღამე გააკრა პარიჟას კედლებზე უშნო, უფერული გაპრტყელებული მანიფესტი, რომელშიაც ნაპოლეონ I-ს მემკვიდრედ უწოდებს თავის-თავს ქეიფ ს მოყვარე პრინცი, რომლის წარსული წაბლალულია. საფრანგეთის ხალხმა დიდის ხარხარით და დაცინვით მიიღო ეს „პლონ-პლონის“ მანიფესტი და სამეფო ტახტის მაგიერ სატუსაღო სახლის სკამი მიართვა. მოკლეს დროში ნაპოლეონ I-ს დიდების მემკვიდრე, როგორც უბრალო პარიჟელი გასამართლებული იქნება და დამსახურებულ ჯილდოს მიიღებს მსაჯულებისგან.

ორლეანისტებმა და ლეგიტიმისტებმა მანიფესტების ქუჩა-ქუჩა აკვრა კი ვერ გაბედეს, მაგრამ თავიანთ სურვილს და ნატვრას პალატებშიაც არ მალვენ და დიდს მზადებაში არიან პროვინციაში. გუშინდელი დეპეშები ამბობენ, რომ შამბორი იტალიაში აპირებს გამგზავრებას ესენიც ფაცურობენ. ფული ბლომად აქვთ, კაცების მოსყიდვის იმედი აქვსთ, ბაირაღზე „სარწმუნოება“ უწერიათ და იმედს არა ჰკარგვენ...

თითონ რესპუბლიკელების ბანაკზეც არეულობაა. გამბეტას პარტია, რომელიც გამბეტის ხელ-ქვეშ იყო და გამბეტის პოლიტიკურ „მრწამსს“ აღიარებდა, მოთავეს სიკვდილის შემდეგ დაიქსაქსა და სხვა-და-სხვა პარტიებს მიეკედლა. პალატების კანონ-მდებელ მუშაობას ამ პარტიების გადასვლა-გადმოსვლა არ შეიძლება რამე რიგად არ დააჩნდეს.

რას შვრება მმართებლობა?

ეს ლამის რევოლიუცია არ მოხდეს პარიჟში, მაგრამ მმართებლობა არავითარ ადმინისტრატიულ ზომას არ ხმარობს პარტიების წინააღმდეგ. პრინცი ნაპოლეონი მართო დაიჭირეს, მაგრამ ისიც მართებლობის ბრძანებით კი არა, დაიჭირეს პროკურორის გადაწყვეტილებით, რადგანაც მანიფესტების მწერალთ და მართებლობის დამხობის ბეჭდვით მქადაგებელთა წინააღმდეგ კანონებში საკუთარი „სტატია“ არის. ზოგიერთებმა პალატის წევრებმა მართო დაჰკარგეს ამ საქმეში საჭირო სულგრძელება და მოსთხოვეს მართებლობას ყველა იმ პოლიტიკურ პარტიების მოთავეთ განდევნა საფრანგეთიდამ, რომელნიც საფრანგეთის ტახტის იმედით სულ-მდგმულნი არიან.

მინისტრებმა ამისი წინაამდეგი აზრი წარმოსთქვეს რჩევაში, მაგრამ რადგანაც პოლიტიკური ქიშპი ძლიერ მაღლა ასწია სულ ყველა ამ გარემოებამ, ის მინისტრები, რომელნიც „განდევნის“ წინააღმდეგნი იყვნენ იძულებულნი შეიქმნენ თავიანთ პორტფელს გამოსთხოვებოდნენ.

ეხლა მინისტრების თავ-მჯდომარედ არის ერთი 40 წლის დეპუტატი ფალიერი, რომელიც უფრო გამბედავანია თავის მოწინავეებზე. თუ გამბედოვანებასთან გამოცდილებაც ექმნა ამ ახალ კაცს პოლიტიკური პარტიე-

---

«დროების» ფელეტონი, 22 იანვარი.

### ნამწყემსარის მოგონება *)

### IV

ვერ მოვასწარით დარიელის ფათერაკს აცდენა და ცხრა ვერსის გავლა, როდესაც ლარსის ყაზახები გადაგვიდგნენ წინ და ფარაზედ თითო ბატკნის თხოვნა დაგვიწყეს! რისთვის, რა მიზეზით, რომლის უფლებითა გვთხოვდნენ ეს—ყველა გამოურკვეველი დარჩა და რადგანაც არ ვანებებდით, ისინი კი ითხოვდნენ—ჩხუბი აუცილებელი ხდებოდა. ღმერთმა უშველოს ლარსის აქციზნის, რომელმაც შეატყობინა იმასთანვე მოსულს სოტნიკს ჩემი ვინაობა. ამ შემთხვევამ გადაგვარჩინა მეორე ხათაბალას...

მწყემსები მხიარულად იცინოდნენ და უკვირდათ მშვიდობიანი გადარჩენა „შარიანს-ყაზახებს“, როგორც ისინი ყაზახებს ეძახიან.

ჩვენ გავიარეთ კიდევ რამოდენიმე გზა და დავინახეთ ჩალხის წყალზედ, რამდენიმე ადგილს გაძრიელებული ცეცხლი; ეს იყო ჩვენი „მობინავეები“, რომლებიც ვახშამს გვიმზადებდნენ,—ღამე აქ უნდა დავრჩენილიყავით.

ცხვარი შევაბრუნეთ საძოვრად, რადგანაც გვინდოდა კარგად გაგვეძღო, რადგანაც მთელი დღე ფარას გასაძღოლი ადგილი არ შეხვედრია და ვიწრო ხეობა-კი, რომელზედაც ჩვენ მოვდიოდით მთლად გაგლილიყო ჩვენზედ წინ ჩამოვლილი ცხვრის ფეხისგან.

— აქ სიფთხილე გვინდა, მომესმა სვიმონას ხმა, რომელიც ჩემთან მოვიდა.

— აქ რიღასი შიშია? აქაც ხომ ყაზახები არ არიან? ვკითხე.

— მგელი იცის და ოსებიც ყაზახებზედ უკეთესები არ არიან.

— როგორ?..

— როგორ და ისე რომ ეხლა ჩვენ ბინაში რომ მიხვიდე, გაჭედილი იქნება ოსებითი...

— მერე რა?

— მოიტანდნენ ერთს ბოთლს გაწყალებულს არაყს, ვითომ მწყემსების პატივის საცემლად და თითონ-კი თვალი იმაზედ უჭერიათ ცხვარი როგორ დადგება, საიდგან უფრო მარჯვედ მოიპარების.

— ე, რას ამბობ, მაგას როგორც იზამენ?

— შენ ძალა გაქვს, ხემწიფის სწორი კაცის შვილი ხარ, იქნება შენთან ვერ გაბედონ, თორემ, აბა, მარტო ჩვენი კაცი იყოს...

— რას იქმოდნენ?

— მაგას თავად გაიგებდნენ! აღარ გაათავა სვიმონამ და ქვა გადაუგდო მეტად უკან დარჩენილს ცხვარს.

ის ერთს ადგილს ჩასცევევბოდა და გაშმაგებით რალაცასა სჭამდა.

— ტიალი, მიწასა სჭამს, მარილი მოზდომნია! წარმოსთქვა და მერე ისევ ოსებზედ გადვიდა.—ნეტა გულადნი, პირ-და-პირი მაინც იყვნენ, თუ არა და აბა რაია—ღვთის მადლსა!.. მოვლენ, ხელში მოგიკვდებიან, მიგინდობენ და ენდობაზე-კი უფალს ჰკითხე.

— როგორც გეტყობა, ოსები ძალიან გეჯავრება?

— მოიცა-ლა პატარაი იარე, გაიცან და მაშინ შენთავად ნახამ.

ცოტა ლაპარაკს შემდეგ მე წავედ ბინაზედ, რათა არჩეული ადგილი დამეთვალიერებინა და სწორედ გითხრა...

*) იხ. „დროებას“ №

ბის დაწყნარება ადვილი საქმე იქნება იმისთვის. კიდევ რესპუბლიკას უფრო ჰყავს მომხრეები საფრანგეთში, კიდევ ის არის ის „მართებლობა, რომელიც უფრო აერთებს საფრანგეთის ხალხს" როგორც სთქვა ტიერმა. ამ მართებლობის ენერგიის წინაშე განიბნევიან ყოველნი მტერნი მისნი და კერძო კაცების დაკარგვა, ვერ მოუღებს ბოლოს. ერთად-ერთი შიში არის საფრანგეთის ჯარის მხრით. თუ ჯარი ისეთმა ვინმემ ჩაიგდო ხელში, როგორც 1851 წელში ჩაიგდო ის ლუი-ნაპოლეონმა მაშინ კი დიდი განსაცდელი შეხვდება საფრანგეთს, მაგრამ ეს გარემოება მარტო განსაცდელი იქნება და დროებითი შეწუხება. უფრო დასაჯერებელია, რომ წარსულის მაგალითით ისარგებლებს საფრანგეთი და ჩვენ არ მოვესწრობით სხვა 2 დეკემბერს, რომელშიაც სხვა ლუი-ნაპოლეონი დაიდგამს თავზე საფრანგეთის გვირგვინს.

## მასწავლებელი და მისი მოვალეობანი

(დასასრული *)

რაც შეეხება მასწავლებლის დამოკიდებულებას შაგირდების მშობლებ-ნათესავებთან,—უნდა ვსთქვათ, რომ არც ამ გარემოებას შეჰფერის ზურგის შექცევა. ტკბილი, პატიოსანი და ზრდილობიანი სიტყვა—პასუხი მასწავლებლისა ბავშვების მშობლებისადმი დიდს შემწეობას მოუტანს აღზრდა-სწავლებას. მოვალეა მასწავლებელი ყველა მშობლის კითხვაზედ ბავშვის შესახებ მისცეს ჯეროვანი პასუხი, გარდასცეს დაწვრილებითი ცნობანი შესახებ მეცადინეობისა, წარმატებისა და ყოფა-ქცევისა. მშობლები და ნათესავები ყმაწვილებისა ბუნებითი თანაშემწენი არიან მასწავლებლისა და ამიტომაც ბავშვების აღზრდა-სწავლებაში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, თუ-კი თავის ახირებული ხასიათის წყალობით სრულიად არ შემოიფთხო იგინი და თავის დროზედ მათ რჩევა-დარიგება არ დაიზარა. რასაკვირველია, მასწავლებლის სიტყვებს მხოლოდ მაშინ ექნება მშობლებ-ნათესავებისათვის მნიშვნელობა, როდესაც უკანასკნელნი პატივის-ცემით უცქერიან თვით მასწავლებელს. შაგირდებიც ჰხედავენ, რა გვარად ეპყრობიან მათი მშობლები მასწავლებელს, ესმით მათი ჰაზრი მას შესახებ და თვითონაც იმის-და-გვარად ექცევიან შემდეგში.

რამდენადაც საქმის წარმატებისათვის საჭიროა მასწავლებლის ზრდილობიანი დამოკიდებულება შაგირდების მშობლებისადმი, უმეტესად სასურველია მისი მეგობრული თანხმობა თავის ამხანაგთა შორის. ურთიერთ სიყვარულს ერთი სკოლის მასწავლებლებისას შეუძლიან სამაგალითო საქმე ჩაიდინოს. უკეთუ ერთ მიზანს ელტვიან, ერთი პირობებით არიან გარემოცულნი და თუ მხარი-მხარს მისცეს და ერთგულად გასწიეს ულელი, რასაკვირველია, ყოველს დაბრკოლებას ადვილად გადასთელავენ.

მასწავლებელს არაოდეს არ უნდა დაავიწყდეს, რომ არავითარს სიტყვას ისეთი ღონიერი გავლენა არა აქვს ბავშვებზედ, როგორადაც ცოცხალ მაგალითს. ბავშვის ბუნება მაგალითებით იკვებება, მით ცხოვრობს და მითი მკვიდრდება. უახლოესი მაჩვენებელი მაგალითებისა შაგირდების თვის მასწავლებელია. უკანასკნელი ამით იდეალად მაჩნიათ, მასში ჰხედავენ ქმნილებას, აღვსებულს ნამდვილის კაცობრიულის გრძნობებითა, სათნოებითა, და აქედამ მისი პირ-და-პირი მოვალეობაა არ ულალატოს ამ ჰაზრს და უფრო დაიმკვიდროს. მასწავლებელს ჰმართებს ზნეობითი მხარეც გაიუმჯობესოს და აიცილოს თავიდამ ყველა ის გარემოებანი, რომელთაც კი შეუძლიანთ დაძლევა და წინაამდეგ მხრისაკენ გატაცება.

ძნელად აღასრულებს ყველა ამ ზემოდ-მოყვანილს პირობებს მასწავლებელი, თუ დაკმაყოფილდება იმ მომზადებით, რომლითაც იგი გამოვიდა თავის სამოქმედო ასპარეზზედ. მასწავლებლის გონებითი მხარე არ უნდა იდგეს ერთს წერტილზედ. თუ კი მას ჰსურს, რომ რაიმე კეთილსაიმედო გავლენა ჰქონდეს მოწაფეებზედ, უეჭველად თავის თავზედ მუშაობა ესაჭიროება. ვინც თვითონ ერთ ადგილზედ სდგას, იმას სხვის წინ წაყვანა არ შეუძლიან და ვინც საკუთარს გაუკეთესობაზედ არ ჰფიქრობს, იგი ვერ შესძლებს სხვის წინ წაწევას. სასწავლო საგნები და მათი მეთოდიური მხარე დღითი-დღე ივსებიან, კეთდებიან და თუ მასწავლებელმა ამას თვალი არ ადევნა, უკან ჩამორჩება. სხვა არა იყოს-რა, თუ საკუთარს განვითარებაზედ არა ზრუნავს, მასწავლებელს ბევრი ავიწყდება და რაც რამე რჩება თავში, ისიც სრულიად ჰკარგავს თავის სინორჩეს. ერთის სიტყვით, სხვისი სწავლება საკუთარი სწავლაც უნდა იყოს. მუშაობა საკუთარს განვითარებაზედ მით უფრო უსაჭიროესია, რომ მასწავლებელს შეუძლიან სამუდამოდ განაგრძოს მღვიძარეობა, ენერგია და სიყვარული თავის საქმისადმი. თუ რა სახისა უნდა იყოს მისი განვითარება—ეს ცხადად აღინიშნება იმ სამსახურით, რომლისათვისაც მას თავისი თავი შეუწირავს. რაც კი აღზრდა-სწავლების წარმატებას შეეხება, მასწავლებელს ყოველი უნდა იზიდავდეს. გონივრული, განუწყვეტელი დაკვირვება შაგირდების ყოფა-ცხოვრებაზედ, მათ სწავლაზედ, სხვა-და-სხვა გვარი თხზულებათა კითხვა და პედაგოგიურ საუბრები ამხანაგებთან, ვგონებ, საუკეთესო ღონის-ძიებანი უნდა იყვნენ მასწავლებლის განვითარებისათვის. ბავშვების ბუნების შესწავლა ბევრს ისეთ საფასო ცნობებს შეძენინებს მასწავლებელს, რომელნიც, უეჭველად, ძრიელ შეუმსუბუქებენ შრომას. ყოველს ყმაწვილს ბუნებითი მოსდევს რაიმე განსაკუთრებული თვისება, რომელიც მასწავლებელმა სწავლების დროს უსათუოდ უნდა იქონიოს თვალწინ, თუ კი მის წარმატებისათვის ზრუნავს.

წიგნების კითხვა ჩვეულებრივი და საზოგადო საშუალებაა კაცის გონებითი და ზნეობითი განვითარებისათვის. მასწავლებელი მომეტებულ ნაწილად უნდა კითხულობდეს წიგნებს იმ შინაარსით, რომელიც ცოტად თუ ბევრად შეეხება მისგან აღმორჩეულს საგანს. მაგრამ რადგანაც ყოველი სასწავლო საგანი უეჭველად განიმარტების სხვა რომელიმე მასთან დაკავშირებულს საგნებით, ამიტომ არც ეს უკანასკნელნი უნდა მიატოვოს მასწავლებელმა. თხზულებანი ფიზიკურ, გონებით და ზნეობით აღზრდაზედ, აგრეთვე ყველა სამეცნიერო წიგნები, როგორც მაგალითებრ: ფსიხოლოღია, ლოღიკა, გიგიენა და სხვ., რომლებზედაც კი თვით პედაგოგია არის დაფუძნებული, ხომ, რაღა თქმა უნდა, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მასწავლებლისათვის.

პედაგოგიური საუბარი ამხანაგებთან შესახებ საგნების გარდაცემის და სხვა კითხვებისა, რომლებიც კი ყოველს ნაბიჯზედ იბადებიან სწავლების დროს, აგრეთვე დიდ საზრდოს აძლევენ მასწავლებელს საკუთარის განვითარებისათვის. ხშირად ხდება ხოლმე, რომ ჩვენი აზრის უსაფუძვლობა ჩვენ თვითონ ვერ გაგვიგია, მაგრამ, როდესაც სხვას განუზიარებთ და მივიღებთ მისგან გონივრულს შენიშვნას, მაშინ ადვილად მივხვდებით ჩვენს შეცდომილებას და შემდეგისათვის ვსცდილობთ გავისწოროთ.

ალ. მირიანაშვილი.

*) იხ. „დროება", № 14.

## დღიური

ქალაქის თავი აცნობებს ბ.ბ. ხმოსნებს, რომ 23-ს ამ იანვარს, კვირას, თერთმეტის ნახევარზე, დანიშნულია საქალაქო რჩევის ზალაში: 1) ახლად არჩეულ ხმოსანთა დაფიცება, 2) ზოგიერთ ხმოსანთა უკანონოდ არჩევის შესახებ შემოტანილი საჩივრის განხილვა და 3) ქალაქის თავის არჩევა.

* * *

---

გავყვირდი ამ საბრძოლველად მოწყობილის ადგილის ამორჩევით!..

მე მომეგება მობინავე, თუმცა არც ცერემონია და არც ის ფორმალური ქცევა ჰქონია, რომელიც სამხედრო ხალხში ჭიმვით და პრანჭიობით თავს იჩენს, მაგრამ ის აშკარად ხედავდა, რომ საქმე ჰქონდა მინდობილი და მოვალე იყო აღესრულებინა წესიერად; აგრეთვე ის აშკარად თავის თავს მოვალედ ხედავდა, რომ ჩემთვის, როგორც სარდლისთვის, თავის მოქმედების ანგარიში მოეცა.

ადგილი ამ გვარად იყო ამორჩეული, რომ მთლად შემოზღუდულიყო პატარა გორაკებით საიდგანაც ადვილად შეიძლებოდა თვალის დაჭერა, შუა ადგილის საკმაო და ბალახიანი მინდორი, ერთკე მხარეს წყალი.

— ადგილი კარგია, მაგრამ ტყე რომ შორსა გაქვსთ? შევნიშნე უფრო იმისთვის, რომ მეთქვა რამე.

— ტყე მოშორებითა სჯობს.

— როგორ?

— ტყე რო მოშორებითაა, ცხვარ თუ ან მგელმა, ან კაცმა გაიტაცა მალე ვერ შეეფარების. მოკლედ მიპასუხა და რწმუნებით გაისწორა ქუდი, თითქოს უნდოდა ეთქვა: „მე მთის მწყემსი ვარ მაგგვარი საქმე, მე არ ამერევა".

მეც ჩავჩუმდი და გავყევ სადაც ცეცხლი დაენთოთ.

შორიდგანვე შევნიშნე, რომ ცეცხლთან ბევრით უმეტესი ხალხი ირეოდა, სანამ ჩვენი ბანის კაცები იყვნენ და სვიმონას სიტყვები მომაგონდა.

— იქ ბევრი ხალხი სჩანს, გაუშვირე ხელი ბინისკენ,—ვინ არიან?

— კატებია?

— ვინ კატები, რას ამბობ?

— ოსები, ცხო ვინა... მაგათ სულ აგრე იციან, რაკი ბინაში გაჩენილს ცეცხლსა ნახვენ, მაშინვე იქ ჩამოცვივიან, თითქოს სვავებს ლეშის სუნი მოედინათო... ეხლა გაიგეს, რომ შენ აქა ხარ და რაღას მოგშორდებიან, თუ არა მიეცი-რა.

ჩვენ მისვლაზედ წამოცვივდნენ ოსები, თავის კერით და ღრეჯით მომეგებნენ, მარწმუნებდნენ, რომ წარმოუთქმელად უყვარდი იმათ, რომ მამაჩემს ამაგი საშვილო-შვილოდ არ დაავიწყდებოდათ და ბოლოს გაათავეს სიტყვები: „როცა „ბლახას", ასე ეძახდნენ მამაჩემს, „ცხვარი ჩამოივლიდა ყოველთვის საკლავს გვაჩუქებდა". ერთმა მამიჩემისგან ისეთს ნაჩუქარს ყოჩზედ მიანბო, რომელიც თუ სპილოს ოდენა არ იქნებოდა, კამბეჩზედ-კი ბევრით დიდი უნდა ყოფილიყო.

ბოლოს ისე რიგად გაბეზრეს ერთი ბოთლი არყის მოტანა, რომ გული გააწვრილეს. აღარ მომეხსნენ დამსვეს ცეცხლა-პირას და „ვარადა-ვარადას" ბოლო არ მოეღო სანამ მწყემს თოხლი არ მოვაყვანინე და არ მივეც.

როგორც იყო ისინი თავიდგან მოვიშორე, თუმცა მთხოვდნენ, რომ ღამე ყარაულად დამდგარიყვნენ და იძახდნენ:

— აუ! სენ სტუმარი, ცვენ მასპინძელი, სენი წილიმე, ეგრე თავე როგორ დაგანებებ?

მაგრამ ჩემი მწყემსები ისე მტრულად უბღვერდნენ, რომ ოსების წადილის აღსრულება ვერ გავბედე.

რაკი ოსები გავისტუმრე და მარტონი დავრჩით, მოვიდნენ მორიგი ღამის ყარაულები, აიღეს თავიანთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთათური ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“, რომლის გამოცემაზე დასტური დასცა მთავრობამ კნ. ეკატერინა ლორთქიფანიძისას, გამოვა, როგორც სწერენ „შრომაში“ მომავლის მარტის დამდეგს. გაზეთს შეუტყვია, რომ ამ დროს ორი პირველი წიგნი ერთად გამოვა.

***

გაველილ წმინდა ნინოს დღესასწაულს გალობაზე მცირედი შენიშვნა გვქონდა მოხსენებული, რომ კარგი შთაბეჭდილება გამოიტანა წირვის მსმენელმა ხალხმა. ჩვენ სათქმელად დაგვრჩა, მიზეზი რა იყო ამ შთაბეჭდილებისა. დიდი ხანია მოკლებული ვიყავით ქართველ მგალობელთა გუნდის ნახვას, ეხლა ვნახეთ და მოვისმინეთ. ჩვენს გაზეთში საკმაოდ ლაპარაკი იყო გალობაზე და ამ მხარეზედ საკუთარი ყურადღებაც იყო მიქცეული: წინად მგალობლების რიცხვი წირვაზე ორ-სამს არ გადემატებოდა. წმინდა ნინოობას სიონში ათამდი მგალობელი იქნებოდა, სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი იყვნენ კარბელაშვილის ლოტბარობით. მართალია მთელი საგალობლები ერთგვარად ვერ იგალობეს კილოს შეწყობითა, ზოგს ადგილს ოთხი-ხუთი გალობდა და ამათში ზოგი ქართულს კილოს ევროპიულად სცვლიდა, მაგალითად ბანი და დვრინი, როგორღაც ვერ ეთანხმებოდა თავისის კილოთი დაძახილსა, მაგრამ მაინც საზოგადოდ შთაბეჭდილება მრავლზე კარგი იქონია. ღმერთმა ინებოს ამ დაწყებულ გუნდით გალობის მაგალითს შესდგომოდნენ ყოველ ეკკლესიებში და თითო-ოროლობით მოუხერხებელ გალობაზე აღარ შემდგარიყოს მისი წარმატება. ნახეთ და მოისმინეთ, რა დიდი განსხვავებაა, როდესაც მთელი გუნდია. სადღესასწაულო და დიდებული ჰარმონია ისმის და არა საცოდაობით მიკნავებული ორის და სამის ღიღინი.

აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ მარტო ერთი დასი გალობდა; გურულების გუნდი არ იყო, როგორც მოველოდით. სასურველია, რომ ამ თვის 26 ოთხშაბათს წმ. მეფის დავით მესამის აღმაშენებლის დღესასწაულს მოწვეულ იქმნენ სიონში წირვაზე გურულების გუნდიცა. ჩვენ ყოველთვის გურული გალობა უეჭველად ქართლულს გალობასთან უნდა ერთად დავაყენოთ, რომ ეკკლესიის გალობის საქმე წარმატებაში შევიდეს. ამ ორმა კილომ ერთმანერთი უნდა შეავსოს და გაამშვენიეროს საეკკლესიო გალობა.

***

ამ ჟამად ძალიან ჩვეილი არ შეიძლება ხორაგეულობაზე. ქალაქის გამგებლობას რომ ბაზარზე კარგად თვალყური სჭირებოდა, უფრო იაფობა იქნებოდა, მაგრამ ბაზარს კარგი ნაცვალი და ზედამხედველები არა ჰყავს. სახლის ქირა კი ჯერ-ჯერობით ისევ ძვირია და პატრონები ვითომ მაგრათა დგანან. ტყვილად კი არ ლაპარაკობენ ბაზრელები: ჰაი გიდი, სახლის პატრონებო, ხორაგს იაფადა სჭამთ და სახლებს კი ძვირად აქირავებთ; ჰაი ცხვირიდამ ამოგივიდეთო!“

***

გაზეთი „ყარსი“ სწერს, რომ წარსულს შემოდგომაში ინჟენერს ციენსკის გამოუკვლევია გზა, რომელიც უნდა იქნეს გაყვანილი ყაგიზმანიდამ იგდირიმდის, 92 ვერსტი; ამ წელში, უეჭველად, თითონ გზას გააკეთებენ. ეს გზა პირ-და-პირ შეერთებს ყარსს ერევანთან.

***

იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ შესანიშნავი ქურთების წინამძღოლი შეიხ-იებეიდულა სცხოვრებს ქალაქ მოსსულაში, მდ. ტიგროსის მარჯვენა კიდეზე.

## პასუხი ბ. დიმიტრი ბაქრაძეს

ამ წლის „დროების“ მე-8 №-ში ჩვენ წავიკითხეთ წერილი თქვენი „იმედის“ რედაქციისადმი, რომელმაც დიდად გაგვაკვირვა. იქ თქვენ ბძანებთ, ვითომც, თქვენდა უნებურად, დაბეჭდილიყოს თქვენი „შემოკლებული ქართლის-ცხოვრება“ „იმედის“ წარსულის წლის სეკტემბრის და ოკტომბრის წიგნში. ამასთანავე, თითქო ჩვენ თითონ მიხვედრილნი არ ვიყოთ, განგვიმარტებთ, თუ ეს თქვენი „შემოკლებული ქართლის-ცხოვრება“ არ არის ისტორია, არამედ „ისტორიული ტაბლიცები“, რომელიც სრულებით საჟურნალო სტატიას არ შეადგენს.

ჩვენ იმთავითვე ცხადად დავინახეთ, რომ თქვენი „შემოკლებული ქართლის-ცხოვრება“ საჟურნალო სტატია არ იყო, იმ თავითვე დარწმუნებული ვიყავით, რომ, ვინც კი ჩვენი-მკითხველთაგანი თვალს გადაავლებდა მას, იფიქრებდა, ან ავტორს რა აზრში მოსვლია ამის ჟურნალში გადაცემა, ან რედაქციას მაში დაბეჭდვაო, მაგრამ მაინც დავბეჭდეთ, თუმცა, სწორე მოგახსენოთ, დიდი ღვაწლი კი დაგვჭირდა მის ამოწყობაზედ. დავბეჭდეთ კიდევ იმიტომ, რომ თქვენ მაგივრად გადმოგვცა იგი და გვთხოვა მისი ჟურნალში დაბეჭდვა ბ. ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელსაც თქვენ არ ასახელებთ,—არ ვიცით კი, თუ რისთვის,—მაშინ, როდესაც, როგორც თქვენვე აღიარებთ, ის ყოფილა ყველაფერში დამნაშავე, თქვენი შემწყნებელიც და ჩვენი შეცდომაში და ზარალში შემყვანიც. გარდა იმისა, რომ თქვენისთანა გამოჩენილს ისტორიკოსს და არხეოლოგოსს უარი ვერ ვუყავით პირველ და, შეიძლება, უკანასკნელ თხოვნაზედ, თქვენი „შემოკლებული ქართლის-ცხოვრების“ ჩვენ ჟურნალში დაბეჭდვის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმ ფიქრით, იქნება ისტორიის პროგრამმას აძლევდეს პატივცემული ავტორი ისტორიის წერის მოყვარე პირებსაო, რომლებიც ასე სოკოსავით გამრავლდნენ ჩვენს დროში და ლამის მთელი ჟურნალი „ივერიის“ ფურცლები დაიჭირონ...

მართალია, წარსულის წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ბ. ჭიჭინაძე მოვიდა ჩვენთან, გვიამბო, რომ თქვენ და ბ. გოგებაშვილი მიბძანებულიყავით მასთან და გებძანებინათ მისთვის ჩვენგან სტატიის გამორთმევა და ბ. გოგებაშვილისთვის გადაცემა, ვითომც „ივერიაში“ დასაბეჭდად, მაგრამ თქვენი „ისტორიული ტაბლიცების“ რამოდენობა უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენ ჟურნალში და გვიანღა გახლდათ მისი დაბრუნება, თუმცა, დარწმუნებული ბძანდებოდეთ, დიდის სიხარულით დაბრუნებული იქნებოდა ჩვენგან, პატარა რომ ადრე შეგვეტყო თქვენი სურვილი.

„იმედის“ წიგნი, რომელშიაც დაბეჭდილია ჩემი სტატიაო, განაგრძობთ თქვენ, ჯერ არ მინახავს, მაგრამ დარწმუნებული კი ვარო, რომ ჩემი „შემოკლებული ისტორია“ სავსე უნდა იყოს შეცდომებითაო, რადგანაც მაგ გვარი შრომის დაბეჭდვა უავტოროდ შეუძლებელი საქმეაო. მართალია, აქ ვითომ თქვენი მკითხველებთან ბოდიშის მოხდა გამოდის, მაგრამ იმავე დროს ჩვენი რედაქციისადმი ცილის-წამებაც არის. ყველამ კარგად იცის, რომ ავტორებმა თუ თავიანთ მაგ გვარ სტატიებს უკან სდიეს—საქმე შორს წაუვათ და რედაქცია კიდევ ვალდებულია ეცადოს, რომ დაბეჭდილი ორიგინალის პირი იყოს. ჩვენ მეცადინეობა არ დაგვიკლია, რომ,—რაც შეიძლებოდა, ორიგინალის დაგვარად გამოსულიყვნენ თქვენი „ტაბლიცები“ და, თუ თვით ორიგინალში რამე შეცდომები იყვნენ, იმათი კი რა მოგახსენოთ. მართალია ფოტოგრაფიით არ გადაგვიღია თქვენი „ტაბლიცები“, მაგრამ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმათში ბევრად ნაკლებ შეცდომებს იპოვის მკითხველი, მინამ სხვა თქვენ ისტორიულ ნაწარმოებებში, ბროშურებად ბ. ჭიჭინაძისაგან გამოცემულებში...

დასასრულს გეთხოვთ „შემოკლებული ქართლის-ცხოვრების“ შემდეგს თავი ვანებოთ და ყველა მის ფურცლები ისევ იმ პირს დავუბრუნოთ, ვინც ჩვენ გადმოგვცა. გვაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ეს თქვენი თხოვნა უკვე შევასრულეთ, 18 ამ თვისას გადავეცით ყველა თქვენი სტატიის ფურცლები ბ. ჭიჭინაძეს ხელ წერილ

---

საჭმელი და გასწიეს „თელოზედ“ (ცხვრის განაპირებით), სადაც თავ-თავის ძაღლი გაიყოლოს.

დანარჩენი მწყემსები დავსხედით პურის საჭმელად და კარგად შევექეცით თბილის „ალტამებით“ (სიმინდის ცომი პატარა კუპატებად მოხარშული) და დამარილებულის ხორცით, რომელიც თან საკმაოდ გვქონდა. მთელმა ვახშამმა გაიარა ხუმრობაში, ოხუნჯობაში და ლექსაობაში. სიამოვნებით ვუყურებდი იმ სიცოცხლით სავსე, თითქოს უზრუნველს და უდარდელს ხალხს, რომელიც ცხოვრებას ასე ჩაეკირკიტებინა, ასე გაემაგრებინა, რომ დაღალვაც-კი არ ეტყობოდათ.

ცოტა ლაპარაკისა და ყალივნების მოწევის შემდეგ, ყველამ ავიღეთ ნაბდები და გავწიეთ „თელოზედ“, სადაც ცხვრის პირად უნდა დაგვეძინა.

მთვარე ჩასულიყო და შავს სივრცეში ვარსკვლავები უფრო ძალზედ კამკამებდნენ და ამშვენებდნენ იქაურობას. მთები, რომელთაც პირი დაეღრინათ და გამსვლელ-გამომსვლელისთვის გზა მიეცათ, თითქოს უფრო გაზრდილიყვნენ და იკარგებოდნენ ღამის უფსკრულში. შორს მომდინარის თერგის ხმაურობა ათასში ერთხელ წყნარსა და მოალერსე ნანად მოისმოდა. ნადირი არ ეტანებოდა ცხვარს და ძაღლებიც დამშვიდებულნი ფარებს გარს უვლიდენ. ამ მშვენიერს, ყრუს და სასიამოვნო საღამოს, როდესაც ყნოსვას დაატკბობდა სურნელიან ყვავილებ-გარეული თივის სუნი, კაცი რაღაცა ალტაცებაში, შფოთვაში შედიოდა.

თქვენ გრძნობდით, რომ ცოცხალი ხართ, სიცოცხლე ტკბილია, არის რაღაცა ძალა, რომელიც გიალერსებსთ, გიზიდავსთ და რაღაცა სიმსუბუქით და ნეტარებით გასუნთქებსთ!..

ასეთად მეჩვენებოდა ეს ღამე, ასეთი მოქმედება ჰქონდა ჩემზედ და ვგონებ დანარჩენებზედაც.

არ ვიცი ამ დროს სხვები რასა შვრებოდნენ და მე კი ძილი გამიკრთა, აიშალა ფიქრები და ვინ იცის სად არ მიმახეტა, რა არ წარმომადგენინა...

კარგა ხანმა გაიარა, როდესაც თითქოს დამთვრალს, დასუსტებულს თვალები დამეხუჭა და ის იყო ბურანში წავედ, როდესაც ერთბაშად შემომესმა ძაღლების ყეფა, თოფის სროლის ხმა და მწყემსების ყიჟინა.

მე წამოვარდი და ყველა მწყემსები ფეხზედ დამხვდნენ. ისინი მიზდევდნენ შეშინებულს ფარას, რომელიც დამფრთხალიყო, დაეხარა თავი და გზის გაურჩევლად და შეუყენებლივ გარბოდნენ. მეორე მხარეს, ცეცხლის პირ მგელი დაეტრიალებინათ ძაღლებს, შუაში ჩაევგდოთ და თავ-განწირვით ებრძოდნენ. ერთს წუთზედ მგელი დაეცა, მთელი ხროვა ძაღლები მისცვივდნენ და გაფატრეს.

მწყემსებმა ძლივს დაიმორჩილეს ცხვარი, რომელიც დაფრთხობის შემდეგ ალარაფერს არჩევს და გარბის, გარბის სანამ წინ რამე არ შეხვდება, ან ქშენა სისხლს არ აუყენებს, თავს ბრუს არ დახვევს ან მუხლს არ მოსჭრის.

ცხვარი ისევ დავაბინავეთ, ალიონმაც აიწია და მე კი ვიფიქრე ან ძილი, ან მოსვენება როდის-ღა უნდა იყოს.

ა. მოხსუბარიძე.

(გაგრძელება)

ქვეშ, რომ ახლა კიდევ „ივერიის“ რედაქციას არ გადასცეს თქვენდა უნებურად ჟურნალში დასაბეჭდად.

თქვენ თითონ ხედავთ, რომ „იმედის“ რედაქცია არაფერი დამნაშავე არ გახლავსთ და ის სიკეთე მაინც გაგიწიათ, რომ აგისრულათ სურვილი, გაგაგებინათ, რომ შესაძლებელია სტამბის მხრივ ბეჭდვა თქვენის „ცხებისა“, რის შესატყობლადაც თქვენ იგინი გადაგიციათ, როგორც თქვენვე ბძანებთ, ზ. ჭიჭინაძისათვის, რომელიც არაფერი სტამბის საქმეების მცოდნე პირი გახლავსთ მაინც-დამაინც...

„იმედის“ რედაქტორი
მიხ. გურგენიძე

20 იანვარს

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

საჭირო ნივთები ავდრისგან, თოვლისგან და სიცივისგან: მაკინტოშები (ავდარ ჩაუხწეველი წამოსასხამები). კრაგები, ცოცხები, ხალიჩები, ღვიის ფუფაიკები, შალის ხუჩქები, დრაფი და სხვ.

ინგლისის მაღაზიაში, არცრუნის ქარვასლაში. (10—8)

## „იმედი“

### ქართული სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

1883 წელში

გამოვა იმავე პროგრამმით, სივრცით და მიმართულებით, როგორც აქამდის გამოდიოდა, და ახალის თანამშრომელების დახმარებით.

ფასი წლიურის გამოცემისა—8 მ., ნახევარ წლისა—4 მ. და 50 კ., სამი თვისა—2 მ. და 50 კ., ცალკე ნომრისა—1 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში—მხოლოდ რედაქციაში, ანდრეევსკის ქუჩაზე, № 14.

გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით:

*Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «Имеди».*

რედაქტორი და გამომცემი
მიხ. გურგენიძე.

ინგლისის

## მაღაზია

*Maison de confiance*

შავდარეთ წვენ. ნაი—1 მ. 10 კ. მოხვიდის ნაი—1 მ. 40 კ.

| | | | |
|---|---|---|---|
| — — —1—20 | | — —1—60 | |
| — — —1—40 | | — —1—80 | |
| — — —1—60 | | — —2— ,, | |
| — — —1—80 | | — —2—50 | |
| საუკეთესო—2— ,, | | — —3— ,, | |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—29)

ინგლისის მაღაზიაში

ზღვის ბალახი ფუთი—2 მ. 40 კ.; ვინც იყიდის ერთად ერთ შეკვრას (9 ფუთამდე) დაეთმობა 2 მ. 20 კ. ფუთი.

იქვე: ფანრები—30 კ-დამ, საჩაიები—35 კ., 100 ნემსი—8 კ., პატაუკი—20 კ., კანფეთები, პარაშოკი (ბორაკს) თეთრეულის სარეცხავად, საექიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის, თაფლის სანთლები 32 კ. ინგლ. გირვ., მაკინტოშები 6 მანეთიდამ და სხვ. და სხვ. (10—6)

ინგლისური რკინის კრავატები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხალიჩები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—8)

ახალი წიგნი
ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე

შემოკლებული
საქართველოს

## ისტორია

შედგენილი რომან ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება [illegible] წიგნის მაღაზიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამური
№ 1.
გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.
ფასი 25 კაპ.

## ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 იანვრიდამ 1 თებერვლამდის.

| | | |
|---|---|---|
| **გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| **იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| **ჯვარის-მამის პური:** | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 10 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

ინგლისის მაღაზიაში

## თმის ამომყვანი მაკმასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—32)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**სახელმძღვანელო რუსული ენისა** ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით (съ удареніями) და ისყიდება გამომცემლის ზაქარია ჩიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათ. ვისაც ყდიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. ჩიქუროვის მაღაზიაშივე ისყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქებიდგან და ადგილებიდგან ყოველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუგვიანებლივ.

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება ჩიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურადა. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურადა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Января 1883 г.* **Типографія Меликова** გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი